

სტუდენტური სერვისების ცენტრის დებულება

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 04 აგვისტოს №01-06-02/36 დადგენილებით

საქართველო, თბილისი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2022 წელი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სტუდენტური სერვისების ცენტრის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სტუდენტური სერვისების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის საფუძვლებს, მიზნებს, ამოცანებს, ფუნქციებს და უფლება-მოვალეობებს.
3. ცენტრი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის უფროსის (კანცლერი) წინაშე, რომლებიც ახორციელებენ ცენტრის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. ცენტრის მიზნებია:
ა) სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა, ზრუნვა სტუდენტების განვითარებაზე და მათ კარიერულ წინსვლაზე;
ბ) საკუთარი საქმიანობით უნივერსიტეტის, როგორც სტუდენტების წინსვლასა და განვითარებაზე მზრუნველი სასწავლო დაწესებულების ავტორიტეტის ამაღლება;
გ) უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით კერძო და სახელმწიფო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება;
დ) საგანამათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობაზე ზრუნვა;
ე) უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მჭიდრო ურთიერთობა;
ვ) კურსდამთავრებულების ბაზის შექმნა/მართვა, ასევე კურსდამთავრებულებთან კავშირის შენარჩუნება და ურთიერთობის გამყარება;
ზ) პოტენციური დამსაქმებლების ბაზის შექმნა და მათთან ურთიერთობა;
თ) უნივერსიტეტის სტუდენტების გაცვლითი პროექტებისა და საზაფხულო პრაქტიკების ორგანიზება;

ი) აქტიურად თანამშრომლობა პროფესორ-მასწავლებლებთან, უნივერსიტეტის სამეცნიერო წრეებთან, შესაბამისი რეკომენდაციების, წინადადებების მიწოდება;
კ) საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა;
ლ) საერთაშორისო ფონდებისა და ორგანიზაციების სხვადასხვა საგრანტო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის და კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციის გაწევა;
მ) სტუდენტური კლუბების საქმიანობების ხელშეწყობა და წახალისება;
ნ) სტუდენტებისათვის გუნდური მუშაობის ხელშეწყობა;
ო) მონაწილეობის მიღება სტუდენტური ფორუმების ორგანიზებაში;
პ) სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტების განხილვა და დაფინანსების მოძიება;
ჟ) მონაწილეობის მიღებასტუდენტების საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზებაში;
რ) სტუდენტებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, სტუდენტური პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა;
ს) კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
2. ცენტრის ამოცანებია:
ა) ხელოვნების და სპორტის სხვადასხვა მიმართულებებით გატაცებულ სტუდენტთა საინფორმაციო ბაზის შექმნა;
ბ) სოციალურად დაუცველ/შშმ სტუდენტების ბაზის შექმნა და მათი ქმედითი დახმარება კომპეტენციის ფარგლებში;
გ) ჯანსაღი ცხოვრების წესის, კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია საუნივერსიტეტო სივრცეში;
დ) სოციალური აქტივობების განხორციელება;
ე) სტუდენტებისათვის თემატური, შემეცნებითი სახის შეხვედრების მოწყობა ხელოვნებისა, სპორტის და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებთან;
ვ) სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სპეციალური მასტერ-კლასების ორგანიზება და ამ მიზნით, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი პროფესიონალების მოწვევა;
ზ) სტუდენტებისთვის დამატებითი პროფესიული კურსების ორგანიზება შესაბამისი ავტორიტეტული ორგანიზაციების ჩართულობით;
თ) საქმიანობის სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

მუხლი 4. ცენტრის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები

1. ცენტრის უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
გ) ანაწილებს თანამშრომლებს შორის ფუნქციებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას, უფლებამოსილია მიიღოს სათანადო ადმინისტრაციული ზომები, დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ვადაზე ადრე შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება ან/და დააწინაუროს ცენტრის თანამშრომელი რექტორთან შეთანხმებით;
დ) შეიმუშავებს ცენტრის საქმიანობისა და განვითარების სტრატეგიას;
ე) უზრუნველყოფს ურთიერთობების დამყარებას და აქტიურ თანამშრომლობას, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან სტუდენტთა განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით, როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან;
ვ) წარუდგენს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წინადადებებს ცენტრის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის სრულყოფის მიზნით;
ზ) პასუხისმგებელია მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების შეფასებაზე, წახალისებაზე, განვითარებაზე, მოტივაციაზე, დისციპლინარული ღონისძიებების ინიცირებაზე;
თ) წარადგენს შუამდგომლობას რექტორთან იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა ცენტრის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად;
ი) ახორციელებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ცენტრის უფროსის მოადგილე:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ცენტრის მიერ შესასრულებელი ამოცანების პრიორიტეტიზაციაში;
ბ) აკონტროლებს და ხელს უწყობს ცენტრისათვის დასახული ამოცანების მიღწევის პროცესს;
გ) საჭიროებისამებრ, წარმართავს მაღალი დონის კომუნიკაციას, მოსამზადებელ შეხვედრებს, მოლაპარაკებებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან უშუალოდ ცენტრის უფროსის დავალებით/მითითებით ან/და შესაბამისი სამართლებრივი აქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;
დ) ცენტრის თანამშრომლებს აძლევს რჩევებსა და რეკომენდაციებს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით;
ე) მონაწილეობს ან თავად უწევს ორგანიზებას და კონტროლს ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას, არეგულირებს და წყვეტს პროფესიულ და ორგანიზაციულ პრობლემებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცენტრის ეფექტური მუშაობისთვის, ცენტრის უფროსთან შეთანხმებით;
ვ) ხელს უწყობს ცენტრის უფროსს მისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელების პროცესში;
ზ) ცენტრის უფროსის დავალებით ასრულებს სხვა ფუნქციებს.
3. ცენტრის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის უფროსის

მოადგილე ან რექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ხელფასის სათანადო სხვაობის ანაზღაურებით.

4. ცენტრის საშტატო რიცხოვნობა და რანგირება განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის და საშტატო ნუსხის შესაბამისად.

5. ცენტრის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

6. ცენტრის თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, სამუშაოთა აღწერილობებით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

6.2. დებულება ძალადაკარგულად ითვლება ახალი დებულების დამტკიცების ან/და ცენტრის ლიკვიდაციის შემთხვევაში.